

# ნოე ჟორდანიას

ქორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. მასში მოსჩანს კეთილშობილი რასისა: ქალღმერთი ველზე გამოხურობული და კავკასიონის კალთებით განვლებული. ქურუმები ძველად ღმერთებს ალბად ასეთი სახით ელაპარაკებოდნენ. არის ქორდანიას პროფილში უცნაური სირბილე: არა მარტო გურიის ველების: არამედ მთელი იბერიის მიწის. ქორდანიას რასისული ტიპია საქართველოსი. რუსთაველის ტარაყელ რაიანდო ყოველს გადამლახველი: მაგრამ მიუხედავად ამისა გულჩვილია მეტად. თეთრი გიორგი ტაიჭზე მჯდომარე მახვილით ჰკვეთავს ვეშაპს და ამავე დროს მის თვალებში ნათელი ბავშვის გვერდული მხერაა. გიორგი სააკაძე რისხვით შემმართველი საქართველოში ბოლოს და ბოლოს გამონაკლისია. მე მიყვარს ქორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოების და არა ცეცხლი სიამის.

ეს ხაზი ქართული ხასიათისა უკანასკნელი დარბილებაა ჯვაროსანი ნების. სრულიად გამართლებულია აქ ქაშვეთის გახსენება. ქაშვეთი ესთეტიური ფორმულია ქართული ყოფის ერთი მთავარი ნაკადულის. მისი მორცხვი ტანის ქალწულ ხაზებში ქორდანიას პროფილიც არის უთუოდ ასარკული. ქაშვეთს უცხო ფრინველსავე დასტრიალებს თავს საიდუმლო კოდნა: საქართველო ხვედრია ჯვარცმულის დედის. ეს არის ლეგენდა: მაგრამ ლეგენდაში უფრო მეტი სინამდვილეა ვიდრე გახეთის ქრონიკაში. ლეგენდა იგი გაცხელებულია ნინოს ვაზითდამთვრალი ჯვარით და ნელად დალბობილია ქეთევანის სურნელოვანი კრემლით. ქორდანიას სირბილე მე ამ ხაზებში მესახება. მე მესმის ქორდანიას წუხილი შვილის დაკარგვის გამო (— ლენინს ასეთი წუხილი არ შეუძლია). ამ წუხილში მე ვხედავ სიახლოვეს მიწასთან: რომელსაც ჩვენ დედის ვუწოდებთ. მე არ ვიცი: ქორდანიას ლოცულობს თუ არა. მაგრამ მე ვიცი რომ შრავალი ლოცულობს მისთვის (=გამაგებინეთ ვინ ლოცულობს ლენინისათვის?). დაისებში ჩვენს დედებს არ ავიწყდებათ ქორდანიას და ჩვენი ბავშვები აისებში პირველად ალბად მას იგონებენ.

სწორედ ამ ხვეულებში იქცა ქორდანიას დიდი ქართველის ფიგურად. მართალია: ისტორია ჰქმნის ისტორიულ ფიგურას: მაგრამ ჯერ პიროვნება უნდა იყოს რომ ისტორიამ ავირჩიოს. ქორდანიას იმთავითვე ჰქონდა დიდი ნიჭი ინტუიციის. ეს ნიჭი პოლიტიკაშიც ისევია საქირო როგორც პოეტურს შემოქმედებაში. ქორდანიამ პირველმა იგრძნო სავსებით რომ პატარა ერის ბიოლოგიური ენერგია განსაზღვრულია და მისი ცხოვრების განვითარება შესაძლოა მხოლოდ

გარეშე ძალების დახმარებით. ცხადია: იმ ცოცხალი ძალების რომლებიც იკედება ერთა სოლიდარობა. ამ ძალების წარმოშობი ინტერნაციონალური დემოკრატიაა. ქორდანიამ შემოიტანა საქართველოში ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ინტერნაციონალიზმს საქართველოს პოლიტიკაში. მაგრამ ხაზგასმე აკცენტუაციაა ფსიხოლოგიური და ზშირად მის ხელში ჯოხი მორე მხარეს იბრებოდა: ინტერნაციონალიზმი ან იონალიზმში გადადიოდა. აქ არის სათავე ქორდანიას ნაწერების წინააღმდეგობათა. მაგრამ ეს „წინააღმდეგობანი“ ზედაპირია მარტო ოდენ. თავიდათავი მის აზროვნებაში (შესაძლოა ქვეშეცნული) სხვაა: საქართველოს ნაციონალური იდეოლოგია შეიძლება იყოს მხოლოდ ინტერნაციონალური გეზით გამართული. არსად ისე აშკარად არ გამართლებულა ისტორიის დიალექტიკა ჰეგელის მიერ შეცნობილი როგორც საქართველოს ცხოვრებაში. ისტორიის ირრაციონალობა სხვათა შორის იმაშია რომ ერთში იბრძვის ორი მაგრამ მთელისათვის ორივე საჭიროა. საქართველოს ნაციონალური იდეოლოგიას საშინლად ებრძოდა თითქმის ანაციონალიზმში გადასული ინტერნაციონალური იდეოლოგია: მაგრამ ისტორიული გონება საქართველოსი ორივეს შეიცავდა და დღეს უკვე ნათელია რომ საქართველოს ხსენისათვის ორივე მიმართულების ბრძოლა იყო აუცილებელი. ამ ისტორიულ გონებას არის ზიარებული ქორდანიას ინტელექტი. კიდევ უფრო მძაფრია მეორე ხაზი ქორდანიას პოლიტიკური აზრის: საქართველოს ხსენა მხოლოდ დასაგლეთშია. ქორდანიამ დასტური დასდო საქართველოს რუსეთთან შეერთებას მხოლოდ იმიტომ რომ რუსეთის საშვალებით ევროპას ვზიარებოდით. ხოლო იგივე ქორდანიას იყო პირველი მომხრე საქართველოს რუსეთისაგან გამოცალკეებისა მხოლოდ იმიტომ რომ რუსეთი აზიაში საბოლოოდ ჩატოვებას გვიპირებდა. აქაც როგორც სხვაგან მახვილია მისი ინტუიცია.

ქორდანიას ტრიბუნია: თუმცა მას ენა არ ემორჩილება. ამ შემთხვევაში შეიძლება იგი ძველს მოსეს ჰგავდეს რომლის ხვედრია მშობელი ერის აღთქმულ ქვეყანისკენ წაყვანა. მაგრამ თუ ქორდანიას თქმა არ ეხერხება სამაგიეროდ მას წერა უჭრის ძალზე. ქართველი პოეტიკისათვის საამაყო პირდაპირ რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილი. თუ სტილი არა ქორდანიას წერის მანერა უთუოდ აქვს. მის ნაწერში არ არის არც კორძიანი ხაზი და არც დაგრაგნილი ხვეული. იქ ყოველი სიტყვა სადათ მოკვეთილია და ყოველი ფრაზა სხარტად გამოჭრილი. ქორდანიას უფრო ლაპიდარული

ფორმულებით ლაპარაკობს ვიდრე დისკურსული პერიოდებით. მის ფორმულებში მონუმენტალური პრიმიტივის ქვებია. თავის ლაკონურ ფრაზაში ქორდანიას ეტყობა უთუოდ რომ იგი მესხეთის მოსაზღვრე კუთხის შვილია. მას არ უყვარს სიბნელე და სძულს განყენება: მის სიტყვაში ქვირვალი სინათლეა და სხეულიანი კონკრეტობა. ამ მხრით იგი ფრანგებს უახლოვდება. საკვირველი არ არის რომ ქორდანიას პირველს შემოელო საქართველოში ფრანგული ეურნალიზმი.

## ზრინოლ რიბაშიძე

ქორდანიას ნაწერები (თ. ჯორდანიას ნაწერები) — 1927

## საქართველოს კლინიკა

ახალი პოეზიის სამთავროში ცისფერ-მა ყანწლებმა გამოაცხადეს საკუთარი დინასტია და მომავალ მეფისთვის შექმნეს ცისფერი დროშა და ღერბი და ისებში ჩამწვარი ქალღეა, რომელსაც წითელ ხარზე მჯდარი გიორგი გადაურბენს ცეცხლოვანი ფრენით.

ამ დინასტიას თავის დროზე ერიც ეყოლება და ქვეშევრდომებიც. ცოტანი ვართ და თუ მაინც არ ვცხრებით, იმიტომ რომ გვიყვარს პოეზია და რესპუბლიკა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ხალხი ფეხზე დადგა და წელში გაიმართა. ქართველი ერის დაგუბებული ენერჯის ტბა-მძლეველ ნიაღვარათ გადაიქცა და ჩვენ გვინდა სარგებლიანად წარვმართოთ ეს ენერჯია, როგორც პოეზიაში, ისე პოლიტიკაშიც.

და ჩვენ ვაცხადებთ: ჩვენ ვართ პირველი ქართველი იმპერიალისტები.

მოტრფილენი დიდი საქართველოსი. ამას ვიტყვი ყოველთვის, რადგან საქართველო გვესმის, როგორც მარადიულობა და ქართული ღერბი გვეხატება არა ჩრდილოეთით დანისლული, არამედ სალამანდრას სახედ.

ჩვენ თავის დროზე მივმართავთ ქართველ ხალხს მანიფესტით, რომელშიაც კილომეტრებზე გადავიტანთ ერის ენერჯის სიგრძეს და მისი ჰკუის პოტენციას მოვსთხოვთ აქტივობის მაქსიმუმს.

დღეს დღეობით კი ჩვენ გვინდა და გვიყვარს დღევანდელი საქართველო, თუნდაც იმიტომ, რომ მან სამჯერ დაამარცხა რუსი და სიცოცხლის აზრი შეაგნებინა თავგასულ მეზობლებს. კიდევ იმიტომ, რომ ქართულ ხმალთან ერთად ქართული პოეზიაც რევანშს უშხადებს ჩრდილოეთის გაყინულ რითმას.

ჩვენ პირველათ მოვითხოვთ ლახისტანი, ჩვენ ვიქნებით მანდატორი წინააზიისა, და თუ ტრაპეზონი დაემორჩილება ქართველ კომისარს, ქართული

პოეზია შესძლებს გააოცოს ევროპა ახალი უცნაურობით.

ჩვენ არ გვჩვევია დამარცხება.

უდიდეს განადგურების დროსაც საქართველო გამარჯვებული იყო. მაგრამ ქართული პოლიტიკა, რომელიც მგრძობიარე სეისმოგრაფივით „ქანაობს“ და ყოველთვის „გადის ფონს“. დღეს ჩრდილავს ქართულ პოეზიას და ე. წ. ხელოვნებას საზოგადოთ. და როდესაც გაქართველებული ებრაელები, ან და გაებრაელებული ქართველები (არიან ასეთები და მათზე იქნება სიტყვა) რესპუბლიკის ხარჯზე ფუფუნებენ ევროპაში — იქ ჩვენი ხელოვნების ხმა არ ისმის და ორი მშვიერი მხატვარი კისრულობს დღეს ჩვენს წარმომადგენლობას პარიზში.

ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ტფილისის ქუჩებზე დარბის ერთი ფუტურისტი/და დაათრევს სხვა და სხვა სამინისტროს და დაწესებულებათა მიერ ვაცემულ მანდატს, რომლითაც პარიზში შექველია სპეკულიაციას დაიწყებს.

მაგრამ პოეზია უკვე იმაღლებს ხმას და საქართველოს დაცვისათვის, ქართული იდეის განმტკიცებისა და მისი მარადიულობისათვის — ისიც იტყვის თავის სიტყვას.

საქართველოს ხელმწიფებას უკანასკნელად დაამტკიცებს პოეზია თავისი ბეჭდის დასმით. უამისოთ ის იქნება ყალბი და ცრუ, როგორც აშორდიას აზნაური.

ამას იქმს ქართული პოეზია ღირსეულად და დინჯად და ამ ბეჭდის დასმაში ის არ მოსთხოვს საქართველოს „შაურთან“, როგორც ამას ჩადიოდენ სოფლის მამასახლისები და ეხლანდელი სოვდაგარი დიპლომატები.

პოეზია, მაძებარი ძალღივით მუდამ მშვიერი — გამოიჩენს ლომის ბრკყალებს და მისი ძლიერი თათი აღიბეჭდება ქართული ისტორიის ყდაზე.

ამ დღეს მოვითხოვთ ჩვენ იმ ვექსილების განადგებას, რომელსაც ეხლა გაბედულად ამართლებს ჩვენი პოლიტიკა და კიდევ იმჩნევს ასეთი ოპერაციის ნაყოფიერ შედეგებს.

მანამდის კი — ილაპარაკებს ბარბოკალი.

## ბაბრიელ სირბაძე

ქორდანიას ნაწერები (თ. ჯორდანიას ნაწერები) — 1927